ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 180

"26" აპრილი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებლის № 9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.031.029) 15 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თეკლე ბერაიასთვის (პირადი №42001023171) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 173 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.031.029) 15 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეკლე ბერაიასთვის (პ/ნ. 42001023171) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 10 აპრილის №24.580.687 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გამზირი დ. აღმაშენებლის № 9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.16.05.031.029), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ამავე განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, 15 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თეკლე ბერაიასთვის (პირადი №42001023171) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე